საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1703/01
25/02/2021

1703-01-2-202102251439

სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 12 თებერვლის N22/657 განცხადება, რომელიც ეხება ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. წყორძას მიმდებარე ტერიტორიაზე 10 380 000 ტონა დიატომიტის მოპოვების საკითხს.

გაცნობებთ, რომ ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" I დანართის 26-ე პუნქტის შესაბამისად, **წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვება, როდესაც მოპოვების ადგილის ზედაპირი 25 ჰექტარზე მეტია, ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას**. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით სამინისტროში წარმოადგინოს სკოპინგის განცხადება სკოპინგის ანგარიშთან ერთად.

თქვენ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სალიცენზიო ობიექტის დამუშავება უნდა განხორციელდეს სამთო გამონამუშევრებით და ღია კარიერული წესით, რომლის საერთო ფართობი შეადგენს 1688472 $მ^2$-ს. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს ობიექტის ღია კარიერული წესით დამუშავების ფართობი.

ზემოაღნიშნული საკითხის დაზუსტებამდე, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო

KA020174432920821

მისამართი: თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: **+995 591 40 40 51**: ფაქსი: **+995 32 243 95 02**

 # 22/1442 **16 / მარტი / 2021 წ.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

თქვენი 25/02/2021წლის N1703/01 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სააგენტოში არსებული ინფორმაციის საფუძველზე, დიატომიტის უდიდესი მოცულობის მოპოვება განხორციელდება მიწისქვეშა სამთო გამონამუშევრებით და ამ ეტაპზე ფართობების დაკონკრეტება შეუძლებელია.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ 12.02.2021 წლის # 22/657 სკრინინგის განცხადება და მიიღოთ საბოლოო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული საქმიანობა გარემოზე შეფასების საქმიანობას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნანა ზამთარაძე

საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2815/01
23/03/2021

2815-01-2-202103231706

სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 16 მარტის N22/1442 განცხადება, რომელიც ეხება ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. წყორძას მიმდებარე ტერიტორიაზე 10 380 000 ტონა დიატომიტის მოპოვების საკითხს.

როგორც სამინისტროს 2021 წლის 25 თებერვლის N1703/01 წერილით გეცნობათ, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" I დანართის 26-ე პუნქტის შესაბამისად, **წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვება, როდესაც მოპოვების ადგილის ზედაპირი 25 ჰექტარზე მეტია, ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას**. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით სამინისტროში წარმოადგინოს სკოპინგის განცხადება სკოპინგის ანგარიშთან ერთად.

თქვენ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სალიცენზიო ობიექტის დამუშავება უნდა განხორციელდეს სამთო გამონამუშევრებით და ღია კარიერული წესით, დიატომიტის უდიდესი მოცულობის მოპოვება განხორციელდება მიწისქვეშა სამთო გამონამუშევრებით, ამასთან ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 1688472 m^2-ს (168,85 ჰექტარი). შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს ობიექტის ღია კარიერული წესით დამუშავების ფართობი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სალიცენზიო ობიექტის ღია კარიერული წესით დამუშავების ფართობის დაზუსტებამდე, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება.

დანართის დახით გიგზავნით სამინისტროს 2021 წლის 25 თებერვლის N1703/01 წერილს.

იხ: დანართის ელ. ვერსია

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო

KA020170068958921

მისამართი: თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: **+995 591 40 40 51**: ფაქსი: **+995 32 243 95 02**

 # 22/657 **12 / თებერვალი / 2021 წ.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. წყორძას მიმდებარე ტერიტორიაზე 10 380 000 ტონა დიატომიტის მოპოვების სკრინინგის განცხადებას. ობიექტის დამუშავება უნდა განხორციელდეს სამთო გამონამუშევრებით და ღია კარიერული წესით, ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისადმი მიღებული წესებისა და ნორმების დაცვით.

გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით. სალიცენზიო ობიექტი, რომელიც წარმოდგენილია ერთ უბნად, მდებარეობს ზღვის დონიდან 1400-1700 მ. სიმაღლეზე, ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. წყორძას მიმდებარე ტერიტორიაზე.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო სირთულის) კატეგორიას. ობიექტი არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის დაცულ ტერიტორიებზე, არც ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხე-მცენარეები. ობიექტი ხვდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სიახლოვეს და ასევე ახალციხის სატყეო უბანში. რაც შეეხება საქმიანობის სხვა მახასიათებლებს (მაგ: ნარჩენების წარმოქმნა, ხმაურის დონე და ა.შ.), აღნიშნული დამოკიდებულია სამუშაოების წარმოების პროცესზე და წინასწარ არ ვფლობთ ინფორმაციას, თუ რა სახის ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს აღნიშნულმა საქმიანობამ გარემოზე.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული საქმიანობა გარემოზე შეფასების საქმიანობას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი: 7 გვ.

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნანა ზამთარაძე